სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № NCDC 9 23 00000057

ქ. თბილისი 08/05/2023 **წელი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს შრომის კოდესი" საქართველოს ორგანული კანონის მე-23 მუხლის და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" და "ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომელთა ეთიკის ნორმები თანდართული სახით.

2. დაევალოთ:

ა) ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამმართველოს (თ. ჟვანია) ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ეთიკის ნორმების გაცნობა ცენტრის თანამშრომელთათვის;

ბ) ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ncdc.ge.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად